


ზაფხულის სკოლის ოლიმპიადა. V ჰლასი

1. (1 ქულა) გამოიანგარიშე ჯამი $1 + 3 + 5 + 7 + \dots + 195 + 197 + 199$
 ა) 2500 ბ) 10000 გ) 19900 დ) 9950 ე) 10500
 2. (1 ქულა) დათო და გიო A ქალაქიდან B-სკენ ერთი და იმავე დროს
 გაემგზავრნენ, დათო ავტომობილით, ხოლო გიო ველოსიპედით, რომლის
 სიჩქარე 3-ჯერ ნაკლებია ავტომობილის სიჩქარეზე. როცა დათო B-ში ჩავიდა,
 მასსა და გიოს შორის მანძილი 70 კმ იყო. იპოვეთ მანძილი ქალაქებს შორის.
 ა) 140 კმ ბ) 210 კმ გ) 105 კმ დ) 100 კმ ე) 98 კმ
 3. (1 ქულა) რამდენჯერ გაიზრდება ერთნიშნა რიცხვი თუ მას მარჯვნიდან და
 მარცხნიდან მივუწერთ იგივე რიცხვს?
 ა) 111-ჯერ ბ) 11-ჯერ გ) 101-ჯერ დ) 10-ჯერ ე) 100-ჯერ
 4. (1 ქულა) სამი კენტი და განსხვავებული რიცხვის ჯამია 41, ა რიცხვი მათ
 შორის უდიდესია. რა უმცირესი მნიშვნელობა შეიძლება მიიღოს ა რიცხვმა?
 ა) 13 ბ) 37 გ) 27 დ) 17 ე) 15
 5. (1 ქულა) რამდენი ოთხკუთხედია ნახაზზე?
- 
- ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4 ე) 6
6. (1 ქულა) დიდი კუბის ფორმის კარაქი 800 გრამს იწონის. რას იწონის პატარა
 კუბის ფორმის კარაქი, თუ მისი გვერდის სიგრძე 2-ჯერ პატარაა დიდი კუბის
 გვერდის სიგრძეზე?
 ა) 400 გრ ბ) 200 გრ გ) 600 გრ დ) 300 გრ ე) 100 გრ

	1	2	3	4	5	6
ა						
ბ						
გ						
დ						
ე						

7. (2 ქულა) x -ორნიშნა რიცხვია, ის განსხვავებული ციფრებისგან შედგება და 9-ზე უნაშთოდ იყოფა. y - სამნიშნა რიცხვია, ისიც განსხვავებული ციფრებით არის ჩაწერილი და 11-ზე უნაშთოდ იყოფა. იპოვეთ $x + y$ -ის უმცირესი შესაძლო მნიშვნელობა.
8. (3 ქულა) რა ციფრით დაბოლოვდება ნამრავლი? (პასუხი დაასაბუთეთ).
- $$11 * 12 * 13 * 14 * 16 * 17 * 18 * 19 =$$
9. (3 ქულა) ვაკლასის 25 მოსწავლიდან ზაფხულის ოლიმპიადაზე ყველამ სხვადასხვა ქულა დააგროვა, მათ შორის პეტრეზე ნაკლები ქულა დააგროვა 7-ჯერ მეტმა მოსწავლემ, ვიდრე პეტრეზე მეტი ქულა. ხოლო ნიკაზე მეტი ქულა დააგროვა 2-ჯერ მეტმა მოსწავლემ, ვიდრე ნიკაზე ნაკლები. რამდენმა მოსწავლემ დააგროვა ნიკაზე მეტი, მაგრამ პეტრეზე ნაკლები ქულა?
10. (3 ქულა) გაშიფრეთ რებუსი $AA + AB + AC = 234$ და იპოვეთ რას უდრის $B + C - A$ (პასუხი დაასაბუთეთ).
11. (4 ქულა) რამდენი სხვადასხვა გზით შეიძლება ნახაზზე გამოსახული ფიგურა დავჭრათ 4 ცალ 2x1-ზე ზომის „დომინოს“ ფორმის მართხულებელად? (პასუხი დაასაბუთეთ).



12. (4 ქულა) წრეწირზე A წერტილის გარდა კიდევ 5 წერტილია - B, C, D, E და F. სულ რამდენი სამკუთხედის აგება შეიძლება წვეროებით ამ წერტილებში და მათ შორის რამდენია ისეთი, რომლის წვეროები არ ემთხვევა A წერტილს?

